




საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • წანი 8 კვ.

პირველი  
ბიზნისი



მესამე პირველი ბრძოლა ფალასინი.

# რეზერვზე ზრუნვა დიდ სპორტზე ზრუნვა

დიდი სპორტი არ არსებობს დიდი და საიმედო რეზერვის გარეშე. ვფიქრობთ, ამ სიტყვების შემართება დღეს არავითარ ექვს არ იწვევს. პერსპექტიული სპორტსმენთა შერჩევა, მათთან დროულად, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მუშაობის დაწყება არის შეუვალად გარანტია იმისა, რომ დიდი სპორტი მუდამ და მყარად იდგება პერსპექტივის სფეროებზე. სიტყვა შერჩევა უპირველესად შემთხვევით არ გვისხენება. სწორედ ესაა საქმის თავიდაოვი. სპეციალისტის მანვლი თვალი და გუშინ მრავალთაგან ადვილად გამოარჩევს ნიჭიერს, დაავალიანებს, მოკლე და ნაცადი გზით გაუძღვება სპორტულ სამყაროში. ფეხისადავადანვე უვლელდღიური ფიჭულტურა — თამაშები — სპორტული სექცია — შერჩევა — სპეციალისტებური სპორტული სკოლა — რეზერვის ნაკრები — ახალგაზრდული გუნდები — დიდი სპორტი აი, ის გზა, რომელიც ნიჭიერმა სპორტსმენმა აუცილებლად უნდა გაიაროს. მაგრამ ეს გზა ადვილი გასავლელი არც შეგირდებისთვისა და არც ოსტატისთვის. წვეთნელს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების თანადგომაც სჭირდება, რომ მოზარდში „მოვლემარე მონაცემებმა გაიღიძოს“, შედეგებმა არ დააყოვნოს. შედეგობაში გვყავს ექიმი, ფსიქოლოგი, გენევათოციოლოგი და, ხაერთოდ, სამეცნიერო-კომპლექსური მუშაობის სხვა წევრები, ორგანიზატორი მუშაკებიც კი. მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრმა საბოლოო მუშაობა არ შეიძლება წარმატება მოიტანოს. წინსვლის საფუძველთა საფუძველი არის ერთიანი მწყობრი სისტემა, როგორც მთლიანად სპორტში, ისე სპორტის ცალკეულ სახეობებში. ბავშვთა ფეხბურთში დამკვიდრებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, განუკითხაობამ, მწვერთნელთა თვითნებობამ ბოლოს საქმე მიგვიყვანა, რომ მთლიანად ქართული ფეხბურთი, მისი ფლაგმანი გუნდები აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში. უსისტემო მუშაობა, როგორც წესი, თავისთავად ქმნის პრობლემებს, რომელთა გამოსწორება შემდგომში დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. ამას მართა ფეხბურთზე არ ვაზრობთ.

რეზერვების მომზადების საკითხისადმი სპორტსაკომის პრინციპულმა დამოკიდებულებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა რაოდენ აუცილებელია რესპუბლიკის სპორტული ღირსების დამცველთა გვერდით იდგეს საიმედო ცვლა. მეტიც, დღის წესრიგში დგას რეზერვის რეზერვთან მიზანმიმართული მუშაობის საკითხი. სხვაგვარად ვერ შევქმნით თაობათა მემკვიდრეობითობის უწყვეტობას. მხოლოდ ასე ჩამოყალიბდება სისტემა, რომლის პირველი რგოლი, თუ გნებავთ, საბავშვო ბაღში იწყება და უმადლესი სპორტული დაოსტატების სკოლით მთავრდება. სპორტსაკომში შექმნილია რეზერვებთან მუშაობის განყოფილება, სპორტის მთელი რიგ სახეობებში უკვე შეიქმნა ეგრეთ წოდებული რეზერვის ნაკრები გუნდები, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები ჩაუდგენენ სათავეში. ძიება, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და საგანგებო ნაკრებში მათი მიწვევა გრძელდება. ეს პროცესი მოიცავს სპორტის აბსოლუტურად ყველა სახეობას და არასოდეს შეწყდება. საქმისადმი ახალგაზრდი დამოკიდებულება, გარდა იმისა, რომ ეს თავისთავად საჭირო და აუცილებელია, ამაღლებს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პასუხისმგებლობას, ამასთან სტიმულს აძლევს მწვერთნელებს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ პირველი მერცხალი ნორჩ კალათბურთელთა გუნდი „მარტვი“ იყო. გავიდა დრო და ჩვენში „მარტვის“ იმდენი გუნდი გაჩნდა, რამდენსაც სიკაბუჯის წლები ითვლის. იმ პირველმა გუნდმა კი რამდენიმე ბიჭს უკვე ოსტატთა გუნდში დაულოცა გზა. საბოლოო მიზანიც ხომ ეს არის.

დღეს ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ რეზერვებთან მუშაობა ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე საპასუხისმგებლო უბანია ჩვენს სპორტულ მოძრაობაში. უკუგება და საბოლოო შედეგი რომ სასურველი და საბაძუო იქნება, ეს უდავოა, ოღონდ ახლა მთავარია, კიდევ უფრო სრულფასოვთ ამ უბანზე მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა, დროულად გადაიჭრას პრობლემები — რეზერვზე ზრუნვა ხომ დიდ სპორტზე ზრუნვაა.

## ფინალის საგზური — დაბადების დღეს

სინარქული ცურვის სპეციალისტებს არა ერთხელ უთქვამთ ჩვენთვის, რომ სპორტის ამ სახეობაში საქართველოს წარმომადგენლები შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იბადლებენ ოსტატობას. ამაში კიდევ ერთხელ დავგარწმუნა ლენინური კომპაგნიის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარე საკავშირო პირველობამ, სადაც თბილისელმა ბრძოლამ ფალასინი დიდი ერთეულთა თანრგში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ნინო მაისურაძემ კი ფინალის საგზური მოიპოვა და VII ადგილი დაიკავა.

როგორც გიუწყებოდით, ბრისტონა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველი სპორტსმენია, ვინც საკავშირო შეჯიბრებაში ასეთ წარმატებას მიაღწია, მაგრამ აქ ნაჩვენებია შედეგი დიდ გავლენას ახდენს ასპარეზობის საბოლოო შედეგზე.

სხვებმა გაცილებით უკეთ იასპარეზეს, ვიდრე წინა შეჯიბრებებში. მათა გამოსვლა უფრო დახვეწილი და ასე ვთქვათ, გაშალა მინებული გახლდათ. გვახარებს ისიც, რომ გოგონებმა დიდი ნახტომი გააკეთეს სავალდებულო პროგრამაში. მაგალითად, აქამდე ბრისტონა ფალასინი „სკოლაში“ ათეულშიც ვერ ხვდებოდა, ახლა კი მესამე იყო. ნინო მაისურაძეს სავალდებულო პროგრამაში ოცეულს მიღმა ვხვდავდით, ახლა კი მან მეცხრე ადგილზე გადმოინაცვლა. მართალია, „სკოლაში“ საპრობო ადგილზე გასულ სპორტსმენებს მედლებით არ აჯილდოებენ, მაგრამ აქ ნაჩვენებია შედეგი დიდ გავლენას ახდენს ასპარეზობის საბოლოო შედეგზე.

იხ. 23-3 გვ.



## მონსაკლეთა შრომითი სემესტრი

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, როგორც ყოველთვის, ფალსაც ჩამოიღწინა საშუალოდ უფროსკლასალი მოსწავლეები. „შრომითი სემესტრი“ მონაწილეებისთვის ყველაზე უფროსა და ბარტოზა-დასვენების კარგი პირობებია შექმნილი.

სულ ერთი საათის სავალზე საბავშვო რაიონის სოფელი გორაკშია. ამ ერთი კვირის წინ ამ ჩამოვიღწინა და საბავშვო მუშაობის ფორმები კოლმუშაობის „მწვანე ოკეანის“ საბავშვო ეხმარებანი თბილისის პირველი და 51-ე სკოლის მეცხრეკლასალები. ისინი ალიონზე დგებიან და ოთხ საათს მუშაობენ — ვინაის უზრუნველ, ახვამენ. საშუალოდ შემდეგ კი ერთობიან, თამაშობენ ფეხბურთს, ფრანგურთს, ვადრას...

დავით კურტანიძის ფოტოები.



### სახელმწიფო სპორტკომიტეტი

სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტკავშირის ფინალური ასპარეზობების დაწყების წინა პერიოდში ტრადიციულად იქცა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელების რესპუბლიკის ცალკეულ ნაკრებ გუნდებთან შეხვედრა. გუშინ სპორტსაკომში შეხვედრაში მიიწვიეს საქართველოს მძლეობათა ნაკრები გუნდი და მათი ხელმძღვანელები.

ნაკრების რამდენიმე წევრის, განსაკუთრებით გუნდის ლიდერების ბოლოდროინდელი წარმატებები იხილვა იმდენ, რომ მათ შესწევთ უნარი იბრძოლონ წარმატებისათვის და სტიმულს მისცემენ დელეგაციის სხვა წევრებს. ბოლო სპორტკავშირის შედეგებით წელს ჩვენმა გუნდმა გაცილებით უკეთ უნდა იასპარეზოს — ითქვა შეხვედრაზე.

ვრცელ მასალას ხალხთა სპორტკავშირის ფინალური ასპარეზობისთვის საქართველოს მძლეობათა ნაკრებ გუნდის მხარეების შესახებ გთავაზობთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში (იხ. მე-2 გვ.).

### შავალესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო XV ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

თამაში დამთავრდა დნეპროპეტროვსკელთა გამარჯვებით — 2:1. ქუთაისის ტორპედოელები შინ შეხვედრენ ოდესის „ჩერნომორცს“ ატაჩი მოიგეს ქუთაისელებმა — 2:1.





# კეთილი სურვილები მუშაკებს

რტმენთა გარდა სახელმწიფოების სხვა მუშაკებსაც "ვარსკლავებიც" იასპარეზებენ.

შარშან საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების თანამშრომლობის ორი დოკუმენტი შედგა. ერთი მათგანი სსრ კავშირისა და აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ურთიერთგაგებასა და კავშირის ენგობრად, მეორე კი კეთილი ნების თამაშების ჩატარებას. სწორედ მათგან გადმოვიდა პირველი ასეთი კომპლექსური ღონისძიებისათვის 1986 წელს საბჭოთა კავშირის ემპსონში, მეორე კი 1990 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულიყო.

სპორტულ შეჯიბრებებს, რომლებიც 4 ივლისს დაიწყება, 1650 არბიტრი მოემსახურება, მათ შორის 150 უცხოელი. გუნდურ ტურნირებში მხოლოდ 6-8 კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას, რაც შეეხება პირად შეჯიბრებებს, ისინი წინასწარი ეტაპების გარეშე ჩატარდება.

მონაწილეებისა და სტუმრებისათვის დიდი კულტურული პროგრამაა შემუშავებული. ისინი შეხვედებიან პ. ჩაიკოვსკის სახელობის

საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს, ნახევან დედაქალაქის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს, გამოდენებს, დათვლიერებენ მუზეუმებს, ერთი სიტყვით, ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება მოწყობილი. ოღონდ, ნურავინ იფიქრებს, რომ კეთილი ნების თამაშები ოლიმპიურ თამაშებს უპირისპირდება. პირიქით, ამ შეხვედრებმა ხალხთა შორის კონტაქტები უნდა განამტკიცოს და მომავალი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის გეგმები დასახოს.

"ულოს" მკითხველები კარგა ხანია გვთხოვენ გამოგაქვეყნოთ კეთილი ნების თამაშების სრული კალენდარი. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაკმაყოფილებთ მათ თხოვნას (შეჯიბრებები იწყება 4 და დამთავრდება 20 ივლისს).

4-7. ცურვა (მოსკოვი, სპორტკომპლექსი "ოლიმპიისკი").

5. თამაშების საზეიმო გახსნა (მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი).

5-10. კალათბურთი — ქალები (მოსკოვი, უნივერსალური სპორტული დარბაზი "დრუჟბა").

5-6. მართონული რბენა (მოსკოვი, ოლიმპიური ტრასა).

5-9. თანამედროვე ხუთბრუნო (მოსკოვი, საცენოსნო კომპლექსი "ბიტცა", ცსკა-ს სპორტკომპლექსი).

6-8. მძლეოსნობა (მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი).

7-12. ფრენბურთი — ქალები (მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტული არენა).

8-11. ველოსპორტი (მოსკოვი, "კრილატსკოეს" ოლიმპიური ველოტრეკი).

9-12. წყალბურთი (მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზი).

9-10. მხატვრული ტანვარჯიში (მოსკოვი, სპორტკომპლექსი "ოლიმპიისკი").

10-12. წყალში ხტომა (მოსკოვი, სპორტკომპლექსი "ოლიმპიისკი").

11-19. კრივი (მოსკოვი, "ოლიმპიისკი" დახურული სტადიონი).

11-14. თავისუფალი კიდაობა (მოსკოვი, "დრუჟბა" უნივერსალური სპორტდარბაზი).

12-14. ჩოგბურთი (სოციალური "დრუჟბა" ჩოგბურთის კორტები).

11-19. ატლანტიკა (ტალინი, ოლიმპიური ცენტრი).

12-15. ტანვარჯიში — ვაჭები (მოსკოვი, სპორტკომპლექსი "ოლიმპიისკი" დახურული სტადიონი).

12-18. ხელბურთი — ქალები და ვაჭები (მოსკოვი, ცსკა-ს უნივერსალური სპორტდარბაზი).

14-19. ფრენბურთი — ვაჭები (მოსკოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტული არენა).

16-20. ძიული (მოსკოვი, უნივერსალური სპორტული დარბაზი "დრუჟბა").

17-19. ტანვარჯიში — ქალები (მოსკოვი, სპორტკომპლექსი "ოლიმპიისკი").

18-20. ძალოსნობა (მოსკოვი, "იზნილოვოს" სპორტის სასახლე).

20. აკადემიური ნიჩხოსნობა (მოსკოვი, "კრილატსკოეს" სანჩხოსნო არბი).

20. თამაშების დახურვა (მოსკოვი, "როსიას" სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი).

## ფინალის საგზნო დეკლარაციები

ახლა ახლოს გავიცნოთ ჩვენი პრინციპი. ხრისტიანე 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. წლებულს მეთუ კლასში გადავიდა. სინკრონულ ცურვაში ვარჯიში თერთმეტი წლისამ დაიწყო. თავდაპირველად დები ევგენია და ლარისა მორჯუენკოები ავარჯიშებდნენ, შარშანს მერე კი მის დაოსტატებაზე ნატალია მამუკი ზრუნავს. ხრისტიანე კოლმეურნის წევრია, მაგრამ ამ შეჯიბრებაზე საკავშირო ნაკრების ღირსებას იცავს.

გუშინ წყვილთა თანრიგში ფალასინიდი არ გამოსულა, რადგან ხრისტიანს ამ შეჯიბრებაში მისი ასაკის პარტნიორი არა ჰყავს.

დილით გაიმართა წინასწარი შეჯიბრებები. ფინალური საგზნოს მოსალოდებლად ოცდაათამდე წყვილი იბრძოდა. მათ შორის იყო თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ნინო მაისურაძე, რომელმაც ერთეულთა თანრიგში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნინო იანა ალავიძესთან ერთად ასპარეზობდა. როცა გოგონებმა წინასწარი შეჯიბრება დამთავრეს, მსაჯმა ინფორმატორმა მაყურებელს ამცნო, ნინო მაისურაძეს დღეს თხუთმეტი წელი შეუსრულდაო. მეგობრებმა მას დაბადების დღის აღსანიშნავად გარდების კონა და საჩუქრები მიართვეს. თავად ნინომ კი თავის თავს, მეწყვილესთან ერთად — ფინალის საგზნო უძღვნა. ნინომ და იანამ საკავშირო შეჯიბრებაში პირველად მონაწილე ფინალის საგზნო, თანაც მეხუთე შედეგით — 151,82. ამ წყვილსაც ნატალია მამუკი ავარჯიშებს.

წინასწარ შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა ელენა აზაროვა — ნატალია გრუზდევას ("ტრუდი") წყვილს — 167,55. მათ უახლოეს მეტოქეს (სმირნოვა — ტრასოვა) მითლი 10 ბალით აჯობეს.

აზაროვა — გრუზდევას წყვილმა საბოლოო გამართულ ფინალურ შეჯიბრებაშიც ჩინებულად იასპარეზა და გაიმარჯვა. მათ წინასწარ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგი გააუმჯობესეს — 168,35. მეორე იყო მარიანა სმირნოვა ("სპარტაკი") და ოლგა ტოკარევა ("ბურჟუასტიკი") წყვილი — 158,83. ბრინჯაოს მედლებზე წილად ხვდათ ოლგა ფილიფჩუკა ("დინამო") და ელენა ფოშეკსკაიას ("ტრუდი") — 157,79.

თბილისელებმა ალავიძემ და მაისურაძემ წინასწარ ასპარეზობაში ნაჩვენები შედეგი ერთი ბალით გააუმჯობესეს — 152,82, მაგრამ კვლავ მეხუთე ადგილზე დარჩნენ, რადგან მათმა უახლოესმა მეტოქეებმა, ისე როგორც უკლებლივ ყველა ფინალისტმა, შეძლეს დილანდლებზე უკეთ გამოსულიყვნენ.

დღეს საკავშირო პირველობის ბოლო დღეა. გაიმართება შეჯიბრება ჯგუფური ვარჯიში.

## ფინალი: გურ - არგენტინა

მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ორივე ფინალისტი აქამდეც ფლობდა დედაქალაქის უძლიერესი გუნდის წოდებას: დასავლეთგერმანელებმა ორჯერ (1954 და 1974 წლებში) მოიპოვეს ოქროს მედლები, არგენტინელებმა კი 1978 წელს მიიღვიეს ასეთ წარმატებას. გარდა



როგორც კი ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში მარცხი განიცადეს საფრანგეთის გუნდთან შეხვედრაში, მაშინვე დადგა საკითხი ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ახალი ხელმძღვანელის შერჩევის შესახებ. ტელე სანტანამ, რომელიც მსოფლიოს XIII ჩემპიონატზე მეთაურობდა გუნდს, დაასწრო მოვლენებს და საკუთრივ დაწერა განცხადება პოსტიდან გადადგომის თაობაზე.

ახალი მწვრთნელის კანდიდატურა სასწრაფოდ წარმოადგინა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ, ესაა ნაკრების ნახევარკველი პაოლო რობერტო ფალკაო, რომელიც ბრაზილიის ნაკრების განაცხადში ირიცხებოდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ უკვე შეჯიბრების მსვლელობაში განაცხადა, რომ თავს ანებებს თამაშს. მაგრამ ბრაზილიაში ასე იოლი არაა ნაკრების მწვრთნელის შერჩევა და დანიშვნა, ვაისინეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ მცირე დრო იყო დარჩენილი, ბრაზილიელებს კი საერთოდ არ ჰყავდათ გუნდის ხელმძღვანელი.

ბრაზილიური გაზეთები იუწყებიან, რომ ფალკოს გარდა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტის კანდიდატები არიან, აგრეთვე, მართი ზავალო და რუბენს მიწელი. სხვათა შორის, ამ ორ პრეტენდენტს ასახელებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინაც.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ოქტავიო პინტო ვიმარაგსმა განაცხადა, რომ ნაკრები წლებულსვე უნდა შეუდგეს მზადებას 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც იტალიაში გაიმართება, ამიტომ ნაკრების ახალი მწვრთნელის საკითხი საჭიროა უახლოეს მომავალშივე გადაწყდეს.

ამისა, გფრ-ის ნაკრებმა კიდევ ორჯერ (1966 და 1982 წლებში) ითამაშა ფინალში, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა კი ერთხელ (1930 წელს).

მიმდინარე ასპარეზობის ფინალამდე მეტოქეებმა ასეთი შედეგებით დამთავრეს თავიანთი მატჩები — გფრ: ურუგვაისთან — 1:1, შოტლანდიასთან — 2:1, დანიასთან — 0:2, მაროკოსთან (მერვედფინალი) — 1:0, მექსიკასთან (მეოთხედფინალი) — 0:0, პენალტებით — 4:1, საფრანგეთთან (ნახევარფინალი) — 2:0.

არგენტინა: სამხრეთ კორეისთან — 3:1, იტალიასთან — 1:1, ბულგარეთთან — 2:0, ურუგვაისთან (მერვედფინალი) — 1:0, ინგლისთან (მეოთხედფინალი) — 2:1, ბელგიასთან (ნახევარფინალი) — 2:0. გფრ-ისა და არგენტინის ნაკრები გუნდები დღემდე რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მათ 3-3 მატჩი

თან (მეოთხედფინალი) — 0:0, პენალტებით — 4:1, საფრანგეთთან (ნახევარფინალი) — 2:0.



მოიგეს და 2 ფრედ დამთავრეს (ბურთების სხვაობა — 13:12 დასავლეთგერმანელთა სასარგებლოდ). აქედან 2 მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების პროგრამით გაიმართა: 1958 წელს, შვეიცარიაში, დასავლეთგერმანელებმა დამარცხეს მეტოქე (3:1), ხოლო 1966 წელს ინგლისში ჩატარებული მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

არგენტინა: სამხრეთ კორეისთან — 3:1, იტალიასთან — 1:1, ბულგარეთთან — 2:0, ურუგვაისთან (მერვედფინალი) — 1:0, ინგლისთან (მეოთხედფინალი) — 2:1, ბელგიასთან (ნახევარფინალი) — 2:0.

გფრ-ისა და არგენტინის ნაკრები გუნდები დღემდე რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მათ 3-3 მატჩი

მოიგეს და 2 ფრედ დამთავრეს (ბურთების სხვაობა — 13:12 დასავლეთგერმანელთა სასარგებლოდ). აქედან 2 მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების პროგრამით გაიმართა: 1958 წელს, შვეიცარიაში, დასავლეთგერმანელებმა დამარცხეს მეტოქე (3:1), ხოლო 1966 წელს ინგლისში ჩატარებული მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

მეხიკოს "აკტივას" სტადიონი (ზედა ფოტოზე) მსოფლიოში პირველი ნაგებობაა, რომელიც მეორედ უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას. ამ უბრწყინვალესი სპორტული ნაგებობის ტრიბუნები, ცხადია, მაყურებლებში შეივსება, მაგრამ ხანამ გულშემატკივრები თავიანთ ადგილებს დაიკავებენ, მათ საგულდაგულოდ გაჩხრეკენ უსაფრთხოების სამსახურის მუშაკები. ქვედა ფოტო სწორედ ასეთი პროცედურის დროსაა გადაღებული "აკტივას" სტადიონის მისადგომებთან.

საბჭოთა კავშირის ნაკრების 22-კაციან შემადგენლობაში თბილისის დინამოელი ალექსანდრე ჩივაძეც იყო, მაგრამ ნაკრების ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში მიღებულმა ტრავმამ თბილისელ ფეხბურთელს თამაშის საშუალება არ მისცა. როცა საშას ქალაქ ირაპუატოში ეს სურათი გადავუღეთ, იგი ჭერ კიდევ იმედოვნებდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა ბელგიელებთან შეხვედრაში...

...ქომაგების მხარდაქერა ნებისმიერ გუნდს და სპორტსმენს ადამრთოვანებს, მაგრამ ამ სურათზე აღბეჭდილი საფრანგეთის ნაკრების გულშემატკივარი ვერაფრით დაეხმარა თავის საყვარელ გუნდს, თუმცა "ტრადიციული" მამალიც მხარს უმშვენივდა. ქვედა ფოტოზეც გულშემატკივარს ხედავთ. ამ სიმპათიურმა ქალიშვილმა ეს-ეს არის გაიმარჯვა გუანანუატოს შტატის ულამაზესი ქალის გამოსაფენად მოწყობილ კონკურსში და საზეიმო ცერემონიალის დამთავრებისთანავე სტადიონს მიაშურა.



# ქველი გამოსდა

**ალუზა.** მრავალდღიანი ველო-რბოლის მერვე ეტაპის ტრასა 130-კილომეტრიან სამთო გზებზე იყო გაკეპული. ველოსპორტისტებს ამ-გვარად ურთულესი გამოცდა ელო-დათ და ბევრმა მისი წარმატებით ჩაბარება ვერც მოახერხა. რბოლის ლიდერმა უკრაინის ნაიკრებმა ამ ეტაპზე მხოლოდ VI ადგილი დაი-კავე და საერთო ჩათვლაში მეო-რიდან მეოთხე ადგილზე გადაინ-ცვლა. სუსტად გამოვიდა აქამდე პირად ჩათვლაში დაწინაურებული ვ. უდანიოვიც (უკრაინა). მერვე ეტა-პის შემდეგ იგი მხოლოდ მე-10 ადგილზეა.

როდელი ტრასა რუსეთის ფედე-რაციის წარმომადგენლებმა სხვე-ბზე უკეთესად განვლეს და პირ-ველი-მეორე ადგილებზე სწორედ მათ დაისაკუთრეს. დ. კონიშვილი და ს. უსლაშინმა ერთნაირი დრო — 3:17.18,0 აწვეს.

რვა ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩა-თვლაში რუსეთის ფედერაციის ვე-ლოსპორტისტები დაწინაურდნენ — 95:20.59, პირად ჩათვლაში კი ლი-დერობა ს. უსლაშინმა იგდო ხელთ — 23:33.43.


## თქვენი სვლა

პაღარაპი

ამოცანა

ნოღარ განსალაზღვილი

(თბილისი)



შამათი სამ სვლაში

„ლულოს“ 22 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ე. გიზეს ამოცანის ამოხსნა: 1. ...a1d+ 2. მფა4; 1. ...c1d+ 2. მფც4; 1. ...e1d 2. მფხ4

## ინფორმაცია

### ცურავა

**ორლანდო (აშშ, ფლორიდას შტატი).** მოკურავეთა ეროვნულ ჩემპიონატში 20 წლის ბეტსი მიტ-ჩელმა 200 მეტრზე გულაბმა ცურ-ვაში მსოფლიოს ახალი რეკორ-დი დაამყარა — 2:08,60. ძველი რეკორდი (2:09,91) კორნელია ზირსს (გერ) ეკუთვნოდა.

### წყალში სროვა

**კიევი.** წყალში მტომელთა სა-კავშირო ჩემპიონატში სამმეტრი-ანი ტრამპლინიდან ხტომაში თქ-რის მედალი ზედიზედ მეორედ ბელორუსის წარმომადგენელმა ალექსეი კოვალევმა დაისაკუთრა — 622,07 ქულა. მეორე ადგილზე 22 წლის კაიველი ნადიბ ალიაუტ-დინოვი გავიდა (613,44), მესამეზე — ჩელოაბინსკელი სერგეი კუზ-მინი (610,71).

**ჩვენი მისაგარითი:**  
წერილებსთვის — 380096  
თბილისი, ლენინის ქ., 14  
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლულო“

# ორი „მოსკოველი თბილისელი“

**ცოტა** უჩვეულო და უცნაური იყო ამ შუა ზაფხულში ყინულის ხილვა. ღარბაზში ისეთი სუსხი იყო, ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე გვეგონებოდათ თავი.

უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ლონაძემ ერთი პატარა ბიჭუნა წა-რმოგვიდგინა, ნამდვილი. ჰოკეისტის ფორმა რომ ეცვა. ზურგზე „11“ ნომერი ეწერა...

მოსკოველი გიორგი არსენიძე 9 წლისა, 477-ე საშუალო სკოლაში სწავლობს, მესამე კლასში გადავი-და. ერთი წელიწადია ცსკა-ს ახა-ლგაზრდა ჰოკეისტთა სკოლაში ვა-რჯიშობს მწვრთნელთან ვიაჩესლავ დოლოგუშინთან და დამბტი კლუბნიკინთან.

— თუ იცო, თქვენს სპორტულ სკოლაში შენს გარდა კიდევ არის ვინმე ქართველი ჰოკეისტი? — ვე-კითხებით გიორგის.

— მეაქვ კოტი ზახუტაშვილი. მოსკოვში ბევრჯერ მინახავს ვარჯი-შის დროს, ისე კი მხოლოდ დღეს გავიცანი თბილისში.

გიორგი არსენიძემ გვითხრა, რომ სპორტი მას და მის უფროს დას მამამ თამაზ არსენიძემ შეაყვარა (იგი პროფესორი ინიცირა). ქა-ლოშვილი ფრენბურთითა და ცხე-ნოსნობითაა ვატყებულნი, ვაჟმა კი მტკიცედ გადაწყვიტა ჰოკეის რაინდი გამოვიდეს. ყოველ შემ-თხვევაში, დედის ყოველდღე დაჰ-ყავს პატარა გიორგი ტავანკიდან „მთელი მოსკოვის“ გავლით ლენი-ნგრადის პროსპექტზე, ცსკა-ს სპო-რტულ კომპლექსში. თბილისში ბებიამ ჩამოიყვანა.

— მართალია, კარგი საციგურაო

თბილისში ჯერ არ არის, მაგრამ სამაგიეროდ აქ ფუნქიულორია, თბილისის ზღვაა, ლამაზი ცირკია, — გვიზიარებს შთაბეჭდილებებს ბიჭუნა.

...ამასობაში სავარჯიშოდ გამო-ვიდა კიდევ ერთი „მოსკოველი“ — კოტე ზახუტაშვილი. იგი მშობ-ლურ ქალაქში საზაფხულო არდა-დეგებზე ჩამოვიდა. თავისი მეგო-ბარი, ზელინოვარადელი იგორ ივა-ნოვიც ჩამოუყვანია სტუმრად. ბი-ჭები ერთად ვარჯიშობენ იმავე ცსკა-ს ჰოკეისტთა სკოლაში (დი-რექტორი ვლადიმერ ლუტჩენკო) მწვრთნელ ბორის შტაინკოსთან.

— თბი წელიწადია ვვარჯიშობ არმიელთა სკოლაში, „სრული კუ-რსის“ ვავლამდე კიდევ სამი წელი-წადი დარჩა, — გვეუბნება კოტი.

— მერე?...

— ორივეს ძალიან გვიანდა ცსკა-ში ვითამაშოთ, თუმცა „დინამოც“ კარგად გუნდია. შარშან მოსკოვის ჩემპიონები გავხდით, წელს კი დი-ნამოვლებმა გვაჯობეს. ვეცდებით რევენში ავიღოთ საკავშირო პირ-ველობაზე, რომელიც ავეისტოში დაიწყება. 15 ივლისს უკვე შეკ-რებაზე მივემგზავრებით მოსკოვ-ში. წლეულს, 8-11 თებერვალს, საერთაშორისო შეჯიბრებაში გა-მოვიღით. ეს იყო ფინეთის ქალაქ სენაიოკში გამართული ოთხთა ტუ-რნირი, რომელსაც ურნალისტიკა „ევროპის მცირე ჩემპიონატს“ უწოდებენ. ცსკა-დან აქ ოთხნი ვი-ყავით (მათ შორის მე და ივანოვი). პირველი ადგილი დაიკავეთ: მო-გუხეთ შედეგს — 5:3, ჩეხოსლო-ვაკელებს — 3:2, ფინელებს —



5:2, ჩეხოსლოვაკიის გუნდთან შე-ხვედრაში საუკეთესო მოთამაშის პრიზი ვაღმოვიცეს, ტურნირის ბოლოს კი მივიღე ჯილდო ასეთი წარწერით — „ყველაზე სასარგე-ბლო მოთამაშეს“.

...ცოტა უჩვეულო და უცნაური იყო შუა ზაფხულში ყინულისა



და... ორი „მოსკოველი თბილისე-ლი“ ჰოკეისტის ხილვა.

**ოთარ ნოზაძე.**

ს უ რ ა თ ზ ე: გიორგი არსენი-ძე და კოტი ზახუტაშვილი.  
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

**MEXICO 88**  
ჩემპიონატის სტატისტიკა  
ნახევარფინალში  
მატჩი № 49. გფრ — საფრან-გეთი 2:0 (1:0). გველაბარა. 25 ივნისი. მსაჯი ლ. ანოლინი (იტა-ლია). 25 ივნისი. გოლები: ბრემე, ფიოლერი. გააფრთხილეს დასაე-ლეთებრმანელი მავატი და ფრანგი ფერნანდესი.  
მატჩი № 50. არგენტინა—ბელ-გია 2:0 (0:0). მესიკო. 25 ივნისი.

მსაჯი ა. მარკესი (მექსიკა). 100.000 მაყურებელი. გოლები: მარადო-ნა-2. გააფრთხილეს ბელგიელი კლასენი და არგენტინელი ვალდი-ნო.

**უზსაღ აპარიტონი**  
მეჰსიკის მსოფლიო ჩემპიონატ-ზე თამაშობენ აქ აკრედიტებული ურნალისტი ფრენბურთელები. დანიისა და გერმანიის ფედერაცი-ული რესპუბლიკის ურნალისტთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა დანიელთა გამარჯვებით 5:0. მატჩს ესწრებოდა დანიის ეროვნული ნაე-რების ფრენბურთელი იან მოლბეუ, რომელმაც განაცხადა, რომ დანი-ელები ჩემპიონატის მატჩშიც ვაი-

მარჯვებენ, მაგრამ არა ანგარიშით 5:0; არამედ მხოლოდ 2:0.  
იან მოლბეუმ მატჩის შედეგი ზუ-სტად იწინასწარმეტყველა...

**მსაჯი ყოველთვის მართალია**  
30 წელს ადვენებს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს, შეამჩნევს, რომ მსაჯობა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ზოგჯერ ვერ დგას საჭირო დონეზე. ფრენბურთის საე-რთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარესთან ვა-რი კევანთან მრავალი საჩივარია შეტანილი.  
გ. კევანი საჩივრებზე მოკლედ პასუხობს: მსაჯი ყოველთვის მარ-თალია!

## სარბიელზეა „სწრაფი ბურთი“

„სწრაფი ბურთის“ კლუბის პრიზის საკავშირო ზონალურ ტურნირს ხე-ლბურთში ორმა ქალაქმა — თბილისმა და თელავმა უმასპინძლა. ეს სა-ინტერესო ასპარეზობა ამჯერად საიუბილეო იყო — იგი მეათედ ჩატა-რდა. წინა წლებიდან განსხვავებით 1978 და 1978 წლებში დაბადებუ-ლმა ჯაბუტებმა და გოგონებმა ცალ-ცალკე იასპარეზეს.

თბილისში ბაქოს, ტირასპოლის, კრასნოდარის (ორი კოლექტივი), მოგილოვისა და თბილისის გოგო-ნათა გუნდები შეიკრიბნენ.  
უფროს ასაკში საუკეთესოდ ჩა-ატარეს ტურნირი მოგილოველმა ხელბურთელებმა. საინტერესოა, რომ ეს გუნდი ერთი სოფლის — ბელინიჩის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ბელორუსმა ხელბურთელებმა ყველა მატჩი მოიგეს და პირველმა გაიხადეს. მეორე ადგილზე ბაქოელები ვაიე-დნენ, მასპინძლებს კი მხოლოდ მეოთხე ადგილი ხვდათ წილად.

სი ასაკის ტურნირში გამოიჩინეს. მართალია, მათ პირველი მატჩი მოგილოველებთან წააგეს, მაგრამ შემდეგ ოთხი შეხვედრა მოიგეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. მე-ორე ადგილი წილად ხვდა კრას-ნოდარის პირველ გუნდს.  
თელავში, სადაც ჯაბუტები ასპა-რეზობდნენ, ყველას ტირასპოლე-ლებმა და მოსკოველებმა (უფრო-სი ასაკი), თბილისელებმა და კრა-სნოდარელებმა (უმცროსი ასაკი) აჯობეს.  
ორ-ორი გამარჯვებული გუნდი იასპარეზებს ფინალში, რომელიც 21-28 ივლისს გაიმართება. ვა-



რაულობენ, რომ უმცროსი ასაკის ტურნირები, როგორც გოგონათა ისე ჯაბუტთა შორის, თბილისში ჩატარდება.  
დასასრულს უნდა ითქვას, რომ ჩვენი დედაქალაქის გუნდები, გან-საკუთრებით უფროსი ასაკის ხე-ლბურთელები, მეტოქეებს შესამ-ჩნევად ჩამორჩებოდნენ ოსტატო-ბაში. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ თბილისელ ხელბურთელებს არა აქვთ საკავშირო ტურნირებ-ში მონაწილეობის გამოცდილება. მოთამაშეთა უმრავლესობისათვის ეს ასპარეზობა პირველი დიდი შეჯიბრება იყო.

**დავით გაჩეჩილაძე.**

## გეთხუთმეცა გამარჯვება

**ღამთავრდა** აშშ-ის კალათბუ-რთის ეროვნული ასოციაციის მო-რტივი ჩემპიონატი, ფინალურ მა-ტჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს „ბოსტონ სელტიკსმა“ და „პიუსტონ როკეტსმა“, რომ-ლის ასეთ აღზევებას მიმოიხილ-ვლები ნიგერიელი კალათბურთე-ლის აკიმის სახელს უკავშირებენ. პირველი ორი მატჩი ბოსტონში

მასპინძელთა გამარჯვებით დამთა-ვრდა. შემდეგი სამი შეხვედრა პი-უსტონში იყო დანიშნული. აქ გა-მართული პირველი ორი მატჩის შემდეგ უინალური სერიის ანგარი-ში გათანაბრდა — 2:2. ასეთ შე-ხვედრებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეტოქის მოედანზე მო-პოვებულ გამარჯვებას. და აი, „ბო-სტონ სელტიკსმა“ სერიის მეხუთე

მატჩში, პიუსტონში, უარესად და-ბაბულ ბრძოლაში, ანგარიშით 106:103 დაამარცხა მასპინძლები და მთავარი ჯილდოს ბედიც გადა-წყვიტა. ფინალური სერიის დასე-ვნითი მატჩი საკუთარ მოედანზე „ბოსტონ სელტიკსმა“ დამაჯრე-ბელი ანგარიშით მოიგო (114:97) და მეზუთმეტედ დაისაკუთრა კა-ლათბურთის ეროვნული ასოცი-აციის ჩემპიონის სახელი.

**მინაბ კალანაძე.**

## კარანა და უთარო

**ცენტრალური ტელევიზია.** 29 ივნისი. რიტმული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირა-პი — 10.20 (1); მსოფლიო ჩემ-პიონატი ფრენბურთში: მატჩი III ადგილისათვის. ბელგია — საფრა-ნგეთი — 12.15 (2); ფინალი: არ-კანდინა — გფრ — 28.00 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — 21.15 (2).  
30 ივნისი. დილის ტანვარჯი-ში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემ-პიონატი ფრენბურთში: ფინალი. არ-გენტინა — გფრ — 10.00 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — 10.30 (2); ფრენბურ-თელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღიური — 28.50 (1).

**საპარტიველოს ტელევიზია.** 29 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიო-ნატი ფრენბურთში: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორცი“ (ოლსა). 28 ივნისის შეხვედრის ვი-დეოჩანაწერი — 19.00; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში: ფინალი: არგენტინა — გფრ — 28.00.  
30 ივნისი. მსოფლიო ჩემპიო-ნატი ფრენბურთში. ფინალი: არგე-ნტინა — გფრ — 10.10; „სამორი-ნი“ — საჰიდრაუტო ურნალი — 16.20; ფრენბურთში მსოფლიო ჩემ-პიონატის დღიური — 28.50.

**საპარტიველოს რადიო.** 29 ივ-ნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფე-ხბურთში — 9.15; რადიოჟურნა-ლი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთა-ვარმა სამმართველომ შეაჯამა „სპო-რტლოტოს“ მორიგი, 25-ე ტირა-ჟების შედეგები, რომელიც 22 ივ-ნისს გაიმართა.  
„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყი-და 681 715 ბარათი.  
ექვსი ციფრი ვერავინ გამოიც-ნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (72 ბარათი) მოგება 598 მანეთია, ოთხისთვის (20202) — 27, სამი-სთვის (53983) — 3.  
„სპორტლოტო 5 86“-დან: გაიყი-და 5 596 842 ბარათი.  
ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (42 ბარათი) მოგება 8122 მანე-თია, ოთხისთვის (8378) — 75, სა-მისთვის (177 393) — 4.

**რედაქტორის მოადგილე**  
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისაგარითი: წერილებსთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ., 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლულო“	რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53 წერილების განყოფილება — 93-97-55 „მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26	83950 056330 66485	საქართველოს კ კვ-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორ-დენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსე-ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოსმარაულის, 29.
--	--	--------------------------	---